ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 326

"6" ნოემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.128.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.128.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ოქტომბრის №20.1253.1549 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, დ.გურამიშვილის ქ. №13-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.128.039) ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, დაბა წყნეთი, გურამიშვილის №13

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი (კვ.მ)	სართული	საკადასტრო კოდი
1	ზაზა რუსაძე	35001004186	73.25 83.18 78.94	მე-2 სართული ნახევარსარდაფი 1 სართული	01.20.01.128.039.01.503 01.20.01.128.039.01.501 01.20.01.128.039.01.505
2	ირმა კასრაძე	01007002640	79.30 73.62 82.67	1 სართული მე-2 სართული ნახევარსარდაფი	01.20.01.128.039.01.504 01.20.01.128.039.01.500 01.20.01.128.039.01.502